

თვითგამორკვევის უფლება და საერთაშორისო სამართალი (აფხაზეთი, ოსეთი, კოსოვო)

სოფო მდელაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

XX

მოვიყვანოთ თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით ის ძირითადი დებულებები, რომელიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებშია წარმოდგენილი.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების [2], ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ [3] პაქტებს აქვს ერთნაირი შინაარსის ორი მუხლი:

ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლებით ისინი თავისუფლად ადგენენ საკუთარ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის მათ, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველ და სამეურვეო ტერიტორიებზე, ხელი უნდა შეუწყოს და პატივი სცეს თვითგამორკვევის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

გაეროს წესდების 1(2) მუხლის მიხედვით, გაეროს ერთ-ერთი მთავარი მიზანია „განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხის თანაბარუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად“ [4].

1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ ითვალისწინებს, რომ „თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპი მოიცავს ყველა ხალხის უფლებას, გარედან ჩარევის გარეშე თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი და იღწოდეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის“ [5].

ჰელსინკის დასკვნითი აქტის თანახმად, თვითგამორკვევის უფლება არის მუდმივი და არაერთგვარადი უფლება. ამ ფორმულირებით თვითგამორკვევას ყველა ხალხი იყენებს [6].

როგორც ზემოთ მოყვანილ დებულებებში ვხედავთ, ყველგან განმარტებულია, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობს „ხალხი“, მაგრამ არ არის განსაზღვრული, თუ რომელ ხალხს აქვს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით. ასეთი ზოგადი მიდგომა ხშირად იძლევა აღნიშნული საკითხისადმი სასურველი ელფერის მიცემის საშუალებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითად პრინციპებთან. მიგვაჩნია, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიც თვითგამორკვევის უფლებაა, ფართო ინტერპრეტაციის საშუალება არ უნდა არსებობდეს.

კოლონიალიზმის ეპოქაში თვითგამორკვევის პრინციპი, ასე ვთქვათ საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათისა იყო, იგი ხალხისთვის, რომელიც თავისუფლებისკენ მიისწრაფოდა და კოლონიური რეჟიმისგან თავის დაღწევა სურდა, ძლიერი სამართლებრივ იარაღს წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დასაწყისში კოლონიალიზმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი გაუქმდა, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი უკვე

თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის მიხედვითაც ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. საერთაშორისო სამართალი ამ უფლებით ყველა ხალხს აძლევს უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და განაზოციელოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ასევე, საკუთარი ეროვნული სიმდიდრისა და რესურსების მიმართ სუვერენიტეტს ნიშნავს.

მაგრამ სეპარატიზმის მომძლავრების ხანაში საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპის ირგვლივ ბევრი კითხვები ჩნდება. თავდაპირველად იგი მხოლოდ კოლონიურ კონტექსტში მოიხსენიებოდა, მაგრამ დღეს საერთაშორისო დოკუმენტებში მისი ზოგადი შინაარსი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

თვითგამორკვევის უფლება რეალურად სათავეს II მსოფლიო ომის შემდეგ იღებს. კონკრეტულად კი მას შემდეგ, რაც კოლონიებს მიენიჭა დამოუკიდებლობის მოპოვების უფლება. 1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწეხებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“ [1].

გაერომ ამ დებულებით:

– თვითგამორკვევის უფლება მიანიჭა ყველა ხალხს და გამონაკლისი მისი შეზღუდვის მიზნით არ დაუწესებია.

– მიუთითა, რომ თვითგამორკვევის უფლება ხალხს ანიჭებს აირჩიოს მათთვის სასურველი პოლიტიკური სტატუსი, ე.ი. სახელმწიფოებრივი მოწყობა, მართველობის ფორმა და ა.შ.

– მდგრადი განვითარების მიზნით ხალხი თვითონვე ირჩევს და უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გზას.

როგორც ჩანს, ამ დებულების ფართო ინტერპრეტაციის შემთხვევაში ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანხვედრასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთი დოკუმენტი მიიღო, სადაც განმარტა თვითგამორკვევის უფლების არსი და შეეცადა გაეფართოებინა მისი შინაარსი. ესენია: გაეროს წესდება; გაეროს ადამიანთა უფლების პაქტი; ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ და სხვა. 1966 წელს მიიღეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტები. გვინდა მოკლედ

სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიულ ფარგლებში ეთნოკონფლიქტების გაღვივების საფუძვლად, აგრესიული სეპარატიზმის სამართლებრივ საბურველად და საერთაშორისო შანტაჟისა და ზეგავლენის ეფექტურ იარაღად იქცა [7].

თვითგამორკვევის რეალიზაციის საშუალებად მოიპყრება გაფართოებული უფლებების, გაერთიანების ან ავტონომიის მინიჭება ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილის შემთხვევაში, ჩნდება სეცესიის პრობლემა.

სეცესია, ერთ მხრივ, შეიძლება განხორციელდეს მხარეების მოლაპარაკებითა და შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის წევრები - ჩეხეთი და სლოვაკეთი შეთანხმდნენ ფედერაციის დაშლაზე და ახალი სუვერენული სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს. ჩერნოგორიამ ასევე რეფერენდუმით გადაწყვიტა იუგოსლავიის ფედერაციიდან გამოსვლა, ფედერაციის მეორე წევრ - სერბეთთან შეთანხმებით. ცალმხრივი სეცესია გაცილებით პრობლემური საკითხია. ხშირად მას ძალადობა და სამხედრო დაპირისპირება მოსდევს [8].

უნდა აღინიშნოს, რომ სეცესია, რომელიც წარმატებით და უმტკივნეულოდ ხორციელდება ძირითადად ფედერაციული სახელმწიფოების მაგალითზეა, უნიტარული ქვეყნებისთვის და ამ მხრივ საერთაშორისო სამართლისთვის, ძალზე პრობლემატური საკითხია.

ცალმხრივი სეცესიის სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვისას საინტერესოა კვებეკის პრეცედენტი, როდესაც კანადის ფედერალურმა მთავრობამ მიმართა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს კვებეკის ცალმხრივად გამოყოფის ლეგიტიმურობის განსაზღვრად. სასამართლომ დაადგინა, რომ კანადის კანონმდებლობის მიხედვით, კვებეკს არ აქვს ცალმხრივად გამოყოფის უფლება და დადასტურა, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, შემდგომი ცნობის მეშვეობითაც, რადგან „ასეთი ცნობა ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით“ [9].

ცალმხრივი სეცესიის მცდელობებით ცნობილია საქართველო. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები ცდილობენ, დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და გახდნენ სუვერენული სახელმწიფოები, რასაც ერთსულოვნად ეწინააღმდეგება დასავლეთის ქვეყნები. საქართველოს მხრიდან მათი მისამართით შეთავაზებული იყო ფართო ავტონომია, საშინაო თვითგამორკვევა, მაგრამ გარეშე ძალების მხრიდან მაინც ხდებოდა სეპარატისტების წახალისება, რაც დადასტურდა 2008 წელს ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით რუსეთის მხრიდან ამ ორი რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. თუმცა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის სახელმწიფო-კუნძულმა ნაურუმ.

აქ გვინდა მოვიშველიოთ კანადის უზენაესი სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა ვერ დადგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სახელმწიფოს რომელიმე

შემადგენელი ნაწილის აღიარება. აქვე გვინდა კიდევ ერთ გარემოებას გაუუსვავთ ხაზი: უნდა ემსჯელა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სათანადო სარჩელის საფუძველზე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების თაობაზე რუსეთის და სხვათა მიერ, კერძოდ, რამდენად შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართალს.

აღნიშნული მცდელობები საფუძველს მოკლებულია, რადგან სეცესიის უფლება წარმოიშობა მხოლოდ კოლონიური მმართველობის ან ოკუპაციის შემთხვევაში. ასევე, თუ მოცემულ ქვეყანაში მცხოვრები ხალხთა ჯგუფი არის დისკრიმინაციის, ჩაგვრის, ექსპლუატაციის ობიექტი. თუ დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე კულტურას გაქრობა ემუქრება, თანაც იმ პირობით თუ გამოყოფას არ მოჰყვება ადამიანის უფლებების ახალი დარღვევები [10]. ასევე, თუ ხალხს არ აძლევენ საშინაო თვითგამორკვევის შესაძლებლობას ქვეყნის საზღვრებში, მაშინ მას აქვს ცალმხრივი სეცესიის უფლება. სხვა შემთხვევაში ხალხთა ჯგუფმა მოცემული ქვეყნის ფარგლებში უნდა ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით.

ამასთან კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული მთლიანობა არის პრინციპი საერთაშორისო სამართლისა, რაც გულისხმობს, რომ ერ-სახელმწიფომ არ უნდა შეუწყოს ხელი გამოყოფის მოძრაობას ან საზღვრების ცვლილებას სხვა სახელმწიფოში [11].

თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის დროს არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. 1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“ [1]. აქვე ჩნდება კითხვა: ვინ შეიძლება ჩაითვალოს ხალხად? ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ საკამათოა, მის შინაარსში არამც და არამც არ შეიძლება გაეროს ეგულისხმა ცალკეული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები, იგი ასეთ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს, მის სტაბილურობას შეუქმნიდა საფრთხეს. თუმცა იურიდიულად და პოლიტიკურად საჭირო იყო რეზოლუციის ავტორებს ეს განმარტება თავიდანვე გაეკეთებინათ. არც დღეს არის ამის გაკეთება დაგვიანებული, პირიქით: მიგვაჩნია პირველი რიგის ამოცანად. სხვანაირად კიდევ დიდხანს მოუწევს საერთაშორისო თანამეგობრობას ამ გაუგებრობაში ცხოვრება.

მით უმეტეს, ამ საკითხის მკაფიო გამოკვეთა ძალზე მნიშვნელოვანია, მაშინ როცა დედამიწაზე უამრავი რაოდენობის ერი (ნაციები) არსებობს და მათ თავისუფლად, უკვე შექმნილი პრეცედენტების ფონზე, შეიძლება გაუჩნდეთ პრეტენზია დამოუკიდებლობაზე. „იმასაც დაკუმატებთ, რომ პოტენციური ერები იშვიათად თუ ცხოვრობენ კომპაქტურად, კონკრეტულ ტერიტორიაზე, ეთნიკურად ერთფეროვანი ტერიტორიული პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნა შეუძლებელია სხვა ეროვნებების

განდევნის გარეშე“ [12].

შეიძლება ითქვას, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ირგვლივ უდაოდ ბევრი კითხვის ნიშნება. საერთაშორისო დოკუმენტებში არ არის ცალსახად გამოკვეთილი თუ ვის ეძლევა აღნიშნული უფლება, რა სიტუაციაშია მისი გამოყენება აუცილებელი. კოლონიალიზმის პროცესის დასრულების შემდეგ ეს საკითხი დავის საგნად იქცა და უდავოდ მოითხოვს კონკრეტიზაციას, რათა აღარ ხდებოდეს სეპარატისტული მიზნებისთვის მისით მანიპულირება და სეპარატისტების მიერ აღარ მოხდეს თვითგამორკვევის უფლებისა და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპის ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთდაპირისპირება.

კონფლიქტური მაგალითების მოყვანისას, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხება, არ შეიძლება არ განვიხილოთ კოსოვოს, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. მით უმეტეს როცა, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ შემთხვევაში სეპარატისტები აპელირებენ საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპით, როგორიც არის თვითგამორკვევის უფლება.

მათი შედარებითი ანალიზისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია თუ რა წინაპირობები არსებობდა თვითგამორკვევისათვის ამ რეგიონებში. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში კონფლიქტამდე დაცული იყო უმცირესობათა უფლებები, დაცული იყო აფხაზური ენა, კულტურა და ტრადიციები. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდა, 28 ადგილი და შესაბამისად საპარლამენტო უმრავლესობის გარანტია ეძლეოდა, ხოლო მკვედრ ქართველებს, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 47 პროცენტს წარმოადგენდა – 26 ადგილი ენიჭებოდათ, სხვა ეროვნების წარმომადგენლებს კი 11 ადგილი. ამდენად აფხაზური მხარე არა თუ მონაწილეობას იღებდა ხელისუფლების განხორციელებაში, არამედ თავის რიცხოვნებასთან შედარებით დომინირებული ადგილიც კი ეკავა [13] ანუ, ფაქტია, რომ მათ მიმართ არ ხორციელდებოდა დისკრიმინაცია და არც სამართლებრივი საფუძველი ჰქონდათ სეცესიის მოთხოვნისთვის. სამაგიეროდ, კოსოვოში მილოშევიჩის რეჟიმის არასწორი გადაწყვეტილების საფუძველზე კოსოვოელი ალბანელების დისკრიმინაცია კოსოვოს ავტონომიის გაუქმებით დაიწყო. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოელი სერბებისგან განსხვავებით ალბანელები უმრავლესობაში იყვნენ, მაინც ხორციელდებოდა მათი შევიწროება და უფლებების იგნორირება, რამაც მათი მხრიდან გამოყოფის მოთხოვნა გააჩინა.

რაც შეეხება თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის გზებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს თვითგამორკვევის ისეთ გზებს, როდესაც სხვა ხალხის ინტერესები ილახება. აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან კი მოხდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც არაერთი გაეროს რეზოლუციითაა აღიარებული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სეპარატისტულ რეგიონებში რეფერენდუმის ჩატარებამდე მუდმივი მოსახ-

ლეობის თითქმის 2/3 გამოძევებულ იქნა და ცხოვრობენ ლტოლვილის სტატუსით. მათ წინააღმდეგ განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რაც ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ამიტომ, ეთნიკური წმენდის შედეგად დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმი ვერანაირად ვერ გამოხატავს აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხების ნებას [14]. თუნდაც ეს ერთი მიზეზი ეყოფა იმის მტკიცებას, რომ მათი მცდელობა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე არ გამოდგება სამართლებრივ საფუძვლად და საბოლოო ჯამში ის უპერსპექტივოა როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და დღეისთვის აღიარებული რეგულაციების სტანდარტებში არ თავსდება. ხოლო რაც შეეხება კოსოვოს, იქ მსგავსი გადაწყვეტილებები ადგილობრივი ალბანელების საკუთარ სახლებში დაბრუნების შემდეგ იქნა მიღებული.

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სეპარატისტთა დახმარება ხდებოდა გარე ძალების ჩარევით. მით უმეტეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას წინ უსწრებდა რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენება, სუვერენული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა, ოკუპაცია, სეპარატისტების მხარდაჭერა და ეთნიკური წმენდის განხორციელება ქართველების მიმართ, ამიტომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისთვის მხარის დაჭერა უდავოდ ეთნიკური წმენდის ლეგალიზაციას ნიშნავს. კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის სოლიდარობა კი ზუსტად კოსოვოელი ალბანელების მიმართ ეთნიკური წმენდის და გენოციდის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. თუმცა ჩვენ შემთხვევაში აღვნიშნეთ, რომ თუ ჰუმანიტარული ინტერვენცია აუცილებლობას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევებში უნდა გამაგრებული იყოს საერთაშორისო დოკუმენტებით და აღარ უნდა იძლეოდეს დავის საშუალებას. გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ რუსეთი თავის სამხედრო ინტერვენციას საქართველოში რუსი მოქალაქეების დაცვით ამართლებდა, მაგრამ ომამდე არაკანონიერად ჩატარებული „პასპორტიზაცია“ მის ამ არგუმენტს არ ამართლებს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (ე.წ. ტალიავინის კომისია) ანგარიშის I თავის მე-12 მუხლში მითითებულია: „ის პირები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებიც საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდნენ, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ისინი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და, სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან, თუ მათ უარი არ უთქვამთ მოქალაქეობაზე და არ დაუკარგავთ საქართველოს მოქალაქეობა დადგენილი პროცედურების დაცვით. რუსეთის მოქალაქეობის მასიური მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისათვის და პასპორტების მასიური გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, საქართველოს მთავრობის თანხმობ-

ბის გარეშე, ეწინააღმდეგება კეთილშობილური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშკარად უქმნის სირთულეებს და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას წარმოადგენს” [15].

ასე რომ თუ კოსოვოსთან პარალელებზე და ამ პრეცედენტზე იქნება საუბარი და ხშირად კოსოვოსა და აფხაზეთის შეთხვევებს ანალოგიურს უწოდებენ, უნდა ითქვას, რომ კოსოვოსა და აფხაზეთის შორის პარალელი გამართლებული იქნებოდა, კოსოვოელი ალბანელები უმცირესობაში რომ ყოფილიყვნენ და რომელიმე მეზობელი ქვეყნის დახმარებით, მათ მოეწყოთ უმრავლესობაში მყოფი კოსოვოელი სერბების ეთნოწმენდა [16].

ასევე პარალელი გამართლებული იქნებოდა, საქართველოში არსებული კონფლიქტები, როგორც სერბულ-ალბანური დაპირისპირება, რომ მხოლოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ყოფილიყო და არა საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს ომში გადაზრდილი კონფლიქტები.

რაც შეეხება ისტორიულ სინამდვილეს, ჩვენი აზრით, ეს ის საკითხია, რაც ყველაზე უკანა პლანზე გადადებული, არადა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს უნდა წამოადგენდეს საერთაშორისო სამართალში. აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ყოველთვის გაერთიანებული საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ისტორიული სინამდვილე კი ისტორიულ სამართლიანობას მოითხოვს და იგი საერთაშორისო სამართლის ძლიერ იარაღად უნდა იქცეს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ:

1. მოუხდავად გაეროს, საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობისა, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის რეგულაციები მოაქციოს საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში, არაუფექტურია და სერიოზულ, შეიძლება ითქვას, მსოფლიოსთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სიტუაცია კი ფეთქებადსაშუაშა და გლობალური საფრთხის „სუნი“ ასდის.

2. ასეთ ვითარებაში, გაეროს კონსერვატიზმი, ვფიქრობთ, მიუღებელია და გაცილებით სწრაფი ზომების მიღებას საჭიროებს, ვიდრე ეს დღეს ხდება.

3. ერთი რამ ცხადია, შეიქმნა გარდაუვალი აუცილებლობა იმისა, რომ ამ და სხვა მსგავსი გლობალური პრობლემების ეფექტური რეგულაციებისათვის სიმბიზის ცენტრმა გაეროს უშიშროების საბჭოდან უნდა გადაინაცვლოს გენერალურ ასამბლეაში და სახელმწიფოთა უმრავლესობამ, და არა უშიშროების საბჭოს 5 ქვეყანამ, უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მათ უმეტეს, როცა პირდაპირ დაინტერესებას იჩენს და ზოგჯერ კონფლიქტის მხარედ ან თანამხარედ გამოდის უშიშროების საბჭოს წევრი, რისი მომსწრენიც გავხდით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დაფიქრება კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას მსოფლიოში და სულაც არ დაგვირდება დიდი ხნის ლოდინი, რომ იგი თავისი საშიშროებით ტერორიზმის და ნარკოტიკების გლობალურ საფრთხეთა რიგში დადგება.

Sopho Midelashvili

SUMMARY

It is interesting to consider legal regulations of Self-determination in international law and, also, approaches of United Nations and the other international community to

this issue:

1. The regulations of Self-determination and territorial integrity are not strictly defined and it can be said, that it remains as unsolved problem for the world.

2. In such situation, the conservatism of United Nations, in our opinion, is unacceptable and urgent actions are necessity.

3. One thing is clear, such global problems must consider General Assembly and not only UN Security Council. Majority of states, and not 5 countries of the Security Council, must make important decisions, especially, when a member of the Security Council has a direct interest and sometimes it is conflict side as it was in Russian - Georgian war in 2008. Once again, we note that the delay will complicate the situation in the world.

ლიტერატურა:

1. Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples. <http://www.un.org/en/decolonization/declaration.shtml>.
1. International Covenant on Civil and Political Rights. <http://www2.ohchr.org/english/law/ccpr.htm>.
2. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. <http://www2.ohchr.org/english/law/cescr.htm>.
3. Charter of the United Nations. <http://www.un.org/en/documents/charter/chapter1.shtml>. <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0348/90/IMG/NR034890.pdf?OpenElement>
4. მარიამ ჯიქია. “Right of self-determination vs. Territorial integrity”. ვალერი გოგალაძე, სადისერტაციო თემა „საქართველოში მომხდარი კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, გვ. 35. <http://www.tabula.ge/article-1302.html>
5. ვალერი გოგალაძე, სადისერტაციო თემა „საქართველოში მომხდარი კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, გვ. 36.
6. პაატა ცინცაძე, სადისერტაციო თემა „თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალსა და რეალურ პოლიტიკაში“, გვ. 94.
7. მარიამ ჯიქია. “Right of self-determination vs. Territorial integrity”.
8. პაატა ცინცაძე, სადისერტაციო თემა „თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალსა და რეალურ პოლიტიკაში“, გვ. 97.
9. <http://gdzeluna.wordpress.com/2010/05/29/კოსოვოს-პრეცედენტი-და-სა/>
10. ჯონი ზეცურიანი. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. 2011, გვ.99.
11. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში.
12. შოთა მალაშვილი, კონფლიქტების ანატომია, გვ. 344.